



საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 ივლისი, შაბათი, 1986 წ. № 144 (9804) © შპს "ქ" აბა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაბარი

ქიულო

„ოქრო“: ავთანდილ გუგულიაძე (113 კგ; ქუთაისი), კოვა კურტანიძე (95 კგ; თბილისი)

ორივე ჩემპიონი

ქართველი ქიუდოისტია

ჩვენი საფეხბურთო იმედი

ჭაბუკ ფეხბურთელებს სართო ყურადღება!

ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტობას არდადეგები აქვთ, განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობს ნორჩ და ჯაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრებები.

საქართველო უმაღლეს საფეხბურთო დონეზე 11 გუნდითაა წარდგენილი: თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში თამაშობენ, ლანჩხუთის „გურია“ და ბათუმის „დინამო“ პირველ ლიგაში გამოდიან, მეორე ლიგაში ასპარეზობენ სოხუმის „დინამო“, თბილისის „ლოკომოტივი“, გორის „დილა“, ფოთის „ქოლხეთი“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, ტყეშელის „მეზაბტე“ და რუსთავის „მეტალურგი“.

ქაბუკთა ფეხბურთი — ეს იყო მუდამ ქართული ფეხბურთის ტრადიციული მასაზრდოვებელი წყარო, აქედან ვლენობდით წლიდან წლამდე „ტყავის ბურთის“ უმაღლესი კლასის ოსტატებს, საქართველოს ქაბუკთა ფეხბურთში მუდამ იყვნენ დიდ პოტენციურ შენაშნობლობათა მქონე ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებიც შემდგომში უმაღლეს კვალიფიკაციას გადადიდნენ რესპუბლიკის ოსტატთა საფეხბურთო კოლექტივებში.

- ნოვაქრია:
- კულტურისა და სპორტის კერებმა უნდა შეიმუშაონ „საოჯახო პროგრამა“, რომელიც ერთნაირად იქნება ხელმძღვანელობის ოჯახის თითოეული წევრისათვის. მე-2 გვ.
- ფეხბურთის ახალი ამბები. მე-3 გვ.
- ლონდონი კასპაროვ — კარპოვის მატჩის გახსნის მოლოდინშია. მე-4 გვ.
- მარადოვამ ხელი მოაწერა პაციფისტურ მიმართვას. მე-4 გვ.

ლესი ლიგის გუნდებს აგრერივად უჭირთ, როცა ობილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ცხადად იგრძობა მაღალი კლასის მოთამაშეთა ნაკლებობა, როცა საბრძოლო შემადგენლობათა დაკომპლექტებისას მწვრთნელები უდიდეს სიძნელებს განიცდიან და ხშირად გამოუვალ მდგომარეობაშიც იმყოფებიან, საგანგებო ყურადღება უნდა მივაპყროთ ქაბუკთა ფეხბურთს.

არის სხვა მეტად რთული პრობლემა: საქართველოს ქაბუკთა გუნდები, როგორც წესი, წარმატებით გამოდიან მეტად მნიშვნელოვან საკავშირო შეჯიბრებებში, ბევრი ჩვენი ფეხბურთელი სიკაბუკეში მწვრთნელებისა და სპეციალისტთა საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს, მერე კი ეს მეტად პერსპექტიული ნიჭიერი მოთამაშეები სპორტული თვალსაწიეროდან იკარგებიან, ფუჭად იხარჯება მათი მწვრთნელების შრომა, და რაც მთავარია, სახნის ბუშტივით ქრება ჩვენი იმედიც.

სწორედ ამიტომ ყველამ მაქსიმალურად უნდა გააძლიეროს ყურადღება და მზრუნველობა ნორჩ და ჯაბუკ ფეხბურთელთა მიმართ, დაუშურებლად ვეძიოთ ისინი, რეკომენდაცია გავუწიოთ მოზრდილთა გუნდებში სათამაშოდ, ქაბუკ ფეხბურთელთა თითოეული შეჯიბრება საყოველთაო ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს.

სულ ახლახან ქაბუკ ფეხბურთელთა რამდენიმე საკავშირო შეჯიბრება ჩატარდა, რომლებშიც საქართველოს გუნდებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, მათ შორის საკმარისად არიან კარგი მომავლის მქონე მოთამაშეები.

ნორჩი და ჯაბუკი ფეხბურთელები შეუწინაღებელი მზრუნველობისა და ყურადღების არეში უნდა გვყავდეს, ყველას ვისაც კი ეს ძალუქს, დაულალავად უნდა იზრუნოს ქართული ფეხბურთის მომავალზე.



ავთანდილ გუგულიაძე

დაიბადა 1965 წელს ქუთაისში. წონა 118 კგ, სიმაღლე 182 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი. მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ომარ მერაბიშვილი და ზაურ მჭედლიძე. ქიულოში ვარჯიში დაიწყო 1972 წელს. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის V კურსის სტუდენტი. სსრ კავშირის 7-გზის ჩემპიონი და პრიზიორი თანატოლთა შორის, ევროპის ახალგაზრდული პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი, სსრ კავშირის ხალხთა IX სპორტაქიადის ჩემპიონი.



კოვა კურტანიძე

დაიბადა 1964 წელს გორის რაიონის სოფელ სურაში. წონა 95 კგ, სიმაღლე 185 სმ. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისის არმიის სპორტკლუბის წევრი. მწვრთნელები — ანზორ ქიბროწავილი და გივი კურტანიძე. ვარჯიში დაიწყო 1979 წელს, 1984 წლიდან საბჭოთა კავშირის ნაკრებშია. საუკეთესო შედეგები: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოს უნივერსიადის ბრინჯაოს პრიზიორი, თბილისის XVII საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპორტაქიადის ჩემპიონი.

პიეზი (ტელეფონით, ჩვენი სექცია). ძიუდოისტთა ხასპარტაკიადო ტურნირმა ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. დარბაზი, სადაც ორთაბრძოლები ტარდება, მუდამ სავსეა მაყურებლებით. ამ ინტერესს შეჯიბრების მონაწილეთა მონდომება და მაღალი ოსტატობა განაპირობებს.

პირველ დღეს ასპარეზობაში, ტრადიციულად, ქვემძიმე და შიმიე წონის ათლეტები ჩაებნენ, მაგრამ გუნდური ბრძოლა გაცილებით ადრე დაიწყო. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის ფედერაციის უკვე აქვს 132 ქულა, რომელიც მან პარალელური ჩათვლების შედეგად მიიღო.

ალბათ ვახსოვთ, რომ კეთილი ნების თამაშებში რუსეთის ფედერაციის ორმა ძიუდოისტმა (ვ. პოდლუბნიმ და ი. შუარინმა) პირველი, ორმა კი (ი. შუჩკოვმა და ი. გლიუჟკმა) მეორე ადგილები დაიკავეს. ამ ოთხი სპორტსმენის წარმატებამ (I ადგილისთვის 36 ქულა, მეორისთვის — 30) შეადგინა კიდევ ის 132 ქულა, რითაც რუსეთის ფედერაციის ნაკრები სასპარტაკიადო ტურნირის იწყებს.

საქართველოს ძიუდოისტებს კეთილი ნების თამაშებში არ უასპარეზობიათ და ცხადია, არც პარალელური ჩათვლა მიუღიათ. მით უფრო, ქვემძიმე სისარული მოგვინიჭა სასპარტაკიადო შეჯიბრების პირველი დღის შედეგებმა. ორივე წონაში ჩემპიონის ოქროს მედლებს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები დაეპატრონენ. ქვემძიმე წონაში პირველი ადგილი არმიელმა კოვა კურტანიძემ დაიკავა, მძიმეში კი ანალოგიურ წარმატებას ქუთაისელმა ძიუდოისტმა ავთანდილ გუბელაძემ მიაღწია.

პირველ წრეში კურტანიძემ ლიტელი პ. პასისკის დაამარცხა (5:0), მეორეში კრანსთარსკელ ს. კუჩუკს (ასევე 5:0) აჯობა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნახევარფინალურ ორთაბრძოლას მოსკოველ ვ. სმელიოვთან, რომელსაც ტურნირის ერთ-ერთი ფინალისტი უნდა გამოეყვინა. კურტანიძემ ამ შეხვედრაში მეტოქეს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა და წმინდად გაიმარჯვა (10:0). ფინალური შეხვედრის ბედი მოსკოველ ა. პოპოვთან ოსტატურად ჩატარებულმა იუკომ გადაწყვიტა. კურტანიძემ ამის შემდეგაც ფლობდა ინიციატივას და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდევ.

ბრწყინვალედ იასპარეზა ავთანდილ გუბელაძემაც (მძიმე წონა). პირველ წრეში წმინდად დაამარცხა ლიტელი რ. ვასკილასი, მერე ასევე წმინდად მოუგო მსოფლიო ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის უკრაინელ გ. იარომენკოს. განსაკუთრებით ეფექტური და ლამაზი იყო გამარჯვება ფინალში უკრაინელ ს. საჩინკოსთან. შეხვედრის დაწყებიდან დაახლოებით მეოცე წამზე მან მოწინააღმდეგეს ეფექტური ილეთი ჩაუტარა და ხალხიანე ბეჭებით დაანარცხა. ეს იყო ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე ბრძოლა.

უშინ ტატამზე 86 და 78 კგ წონითი კატეგორიის ათლეტები გამორდოდნენ. 78 კგ-ში საქართველოს გუნდის ლირსებას ენგურ გოგინაშვილი იცავს, 86 კგ-ში კი საქართველოს ნაკრებს მონაწილე არ გამოჰყავს. სამაგიეროდ 71 კგ-ში და აბსოლუტურ წონაში ჩვენები ორ-ორი ძიუდოისტით იასპარეზებენ.

მეტანის, ხოვლეს, ზემო ხანდაკის, ყარაღაჯის, ლამისყანის, ნოსტის, კასპის კოლმეურნეობის, კავთისხევის, დოენისა და ალაიანის უძლიერები ფალავნები მონაწილეობდნენ კასპის რაიონის პირველობაში, რომელიც ამ დღეებში უჭრნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ რედაქციისა და კასპის აგროსამრეწველო გაერთიანების ინიციატივით გაიმართა მეტეხში. გამარჯვებულ (მეტეხის) და საპრიზო ადგილზე (ხოვლეს, კასპის კოლმეურნეობა) გასულ გუნდებს და მოპიდავეებს პრიზები გადასცეს უჭრნალის რედაქტორმა მიხეილ დავითაშვილმა და კასპის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ტრისტან ხუციშვილმა.



პლან-ინფორაცია

გაზეთის დასახელებად გამზადების წინ ახალი ცნობა მივიღეთ კიევიდან: ვათამაშდა სასპარტაკიადო მედლებას კიდევ ერთი კომპლექტი — 78 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გორელმა ძიუდოისტმა ენგური გოგინაშვილმა. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით მეორე ადგილზეა. ლიდერობს რუსეთის კოლექტივი, მესამე ადგილზე უკრაინელი ძიუდოისტები არიან. 26 ივლისს ჩვენი გუნდიდან სარბიელზე გამოვლენ ლერი ნაკანი და ბათო ჯიჭური.

წარსულ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ და კასპის რაიონის აგროსამართლებლო ბაირთიანების მისაზამი თაოსნობა!

# ვერცხული ბიზლითავე



## შაჰცილეთი პირველობაში

ეს ამბავი მეტეხში მოხდა. რა ამბავია, იკითხავთ. რა და მეტეხის ნახევარმეტრულ წრეში ქართული ჭიდაობის ვულკანი ამოხეთქა. თვალისმომჭრელი სანახაობა იყო. მთელი ექვსი საათი ბორბავდა ვულკანი, მერე ნელ-ნელა დაცხრა და ჩაწყნარდა. სამი ათასი წყვილი თვალი, თუ მეტი არა, მონუსხული მისჩერებოდა კრატერს. აღფრთოდან არავინ დაძრულა, უმეტესობა ფეხზე იდგა — აბა, ნახევარმეტრულ საქვიდან სამ რიგად შემოვლებული ტრიბუნა ამოდენა ხალხს როგორ დაიტევდა, ყველა

აღვილი, საიდანაც კი თვალი მისწვდებოდა ამ ჯადოსნურ წრეს, დაკავებული იყო: ხე, ბოძი, ღობე, ძარა, სახურავი. მთელი რაიონი აქ იყო, თავისი მდივან-თავმჯდომარეებიანად. ბიჭები, ნახევარმეტრულ წრეში რომ ტრიალებდნენ, ცაში გასაფრენად შემზადებულ რაშებს ჰგავდნენ. როგორ შეერწყა ერთმანეთს აწმყო და წარსული, რა ლამაზად გამოიანათა ქართული ჭიდაობის სულმა და გენმა. მოჭარბებულ პათეტიკაში ნუ ჩამოართმევ, მკითხველო. ეს მარ-

თლაც განუმეორებელი სანახაობა იყო. ენა და კალამი უძლურია აღწეროს ყოველივე. მზის შუქზე დაიწყო ჭიდაობა. თითქოს მზის ძალა გადაეცათ ბიჭებს. მართალი იყო ის მეტეხელი ჭიდა-რაშეპარული კაცი: ენერჯია, სპიდალი წრეში რომ დაიფრქვა, ხომალდს დაძრავდა... მერე მთავრე ამოკურდა მშველელად. მთვარის შუქმა დაჩრდილა პროექტორების სხივი. მე ასე მომეჩვენა. თითქმის ყოველ თვეს ჩავდივარ კასპში. ასეთი ჭიდაობა და ამდენი ხალხი აქამდე არ მინახავს. ათი

წელი არ მინახავს, მანამდე რა იყო, ვერ გეტყვით, ერთი კი დანამდილებით ვიცი: კასპი, თავისი სოფელ-უბნებით, ქართული ჭიდაობის დედაქალაქი და დედაბოძა. განა სხვაგან არ ჭიდაობენ, მაგრამ კასპელები მაინც გამორჩეულნი არიან. ვისაც გინდათ, შეეცადეთ პირველობაში — ქართული ჭიდაობა მოიგებს! ..ათმა სოფელმა გამოიყვანა გუნდი, სულ რჩეულ-რჩეული ბიჭები. მეტეხელ და ხოვლელ ფალანგებს ანიჭებდნენ უპირატესო-

ბას, სწორედ ისინი შეიბნენ ფინალში ერთმანეთს. მეტეხელებმა იყოთაღეს, ალალია მათთვის ბროლის თასი. მთელი ექვსი საათი ბორბავდა ვულკანი, მერე ნელ-ნელა დაცხრა და ჩაწყნარდა. ხეალ თავიდან დაიწყება ყველაფერი, კვლავ გაჩაღდება ბრძოლა ბროლის თასისათვის. ბრძოლა ქართული ჭიდაობის გადასარჩენად. აი, ეს არის მთავარი.

**ალგუჯა ბერიშვილი.**  
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.



## სანამ გიჭი დარბის და ცურავს...

**მეგობარი** ქალი მესტუმრა და საცურაო აუზის აბონემენტი შემომთავაზა. კვირათხი უნდა გვევლო. სიამოვნებით დავთანხმდი, მაგრამ ამ დროს ოთახში ჩემი ბიჭი შემოვიდა და მკითხა: — დედა, მეც წაიყვან? გადაუჭრელი პრობლემა: სად დავტოვო სერიოზო? გონებაში სწრაფად გადავიანგარიშე: ორ საათამდე გზას უნდა, ერთ საათსაც, აღბათ, სეანსი გავრძელებო. — არა, სამ საათს მარტო ვერ დავტოვებ ბავშვს...

რას ვიზამ, დიდი ხანია ყოველგვარი გასართობი დავივიწყე. ბავშვობაში კარგად ვთამაშობდი ჩოგბურთს, მაგრამ ახლა აღარც მანსოვს, ბოლოს როდის მეჭირა ჩოგანი ხელში. მიყვარდა მუსიკა, კონცერტებზე სიარული, მაგრამ მანსოვს, როდის ვიყავი უკანასკნელად თეატრში ან მუსეუმში? დიან, როდესაც ოჯახში ბავშვები არიან, მშობლის სურვილებს შესრულება არ უწყობია: აქეთ სარეცხი, იქით სადილი და ათასი წვრილმანი საოჯახო საქმე. მაგრამ ყოველივე ეს ხომ დედის წმინდა მოვალეობაა და, თუ სამართლიანები ვიქნებით, ყოველთვის ბავშვი როდია იმაში დამნაშავე, ჩვენი თავისთვის რომ ვერ ვიცვლით.

არადა, იმ საცურაო აუზზე ისედაც თითქმის ყოველდღე მიხდება სიარული — ჩემი ვაჟი დამყავს.

დედები, თხუთმეტოდე ქალი, ვესტიბილში ვიყრიით თავს: ვქსოვთ, ვკითხოვთ, ვსაუბრობთ. ზოგჯერ საათობით ვდგავართ სტადიონის ჰიშკართან, სახამ ჩვენი შვილები ვარჯიშობენ, ხოლო ზამთრის ყინვიან დღეებში კლუბებთან ვყურებთ, სადაც ბავშვები სახალწლო ნაძვის ხეს უვლიან გარშემო.

ბავშვს თავისი ინტერესები აქვს, თავისი გასართობები, ჩვენ კი, მშობლებს, ერთი რამ გვადარდებს: როგორ მოვკლათ დრო.

რა მოხდება, რომ დასვენების ან თუნდაც ჩვეულებრივ დღეებში „ოჯახური ვარიანტებიც“ დავგვიშნო? საცურაო აუზებზე, სტადიონებზე, თეატრებსა და კინოთეატრებში საქმად მრავალფეროვან გასართობ პროგრამას ვთავაზობენ როგორც მოზრდილებს, ისე მოზარდებს, მაგრამ ჩვენ და ჩვენს შვილებს იქ ცალ-ცალკე გველიან...

ნუთუ არ შეიძლება, რომ კინოთეატრში, სადაც მე დიდი სიამოვნებით ვნახავდი, ვთქვათ, რთულ ფსიქოლოგიურ ფილმს, გვერდით ღარბაზში მულტფილმები გაუშვან ბავშვისათვის? არ არის მეორე ღარბაზი, მაშინ ფიცი გამოიყენონ, სათამაშო ავტომატებით რომ არის გამოქვლილი.

აუზები და სტადიონები ავიღოთ — განა იქ არ შეიძლება საოჯახო პროგრამის ორგანიზება?

საზღვარგარეთ ასეა — დიდ უნივერსიტეტებში მშობლები იბავშვებს პირველ სართულზე ტოვებენ, სადაც მათთვის ათასნაირი გასართობი მოწყობილი. პატარები თამაშობენ, მშობლები კი ამასობაში თავიანთ საქმეს მოილევნ. ცუდი არ იქნება, თუ ეს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც დაინერგება. უქმე დღეებში „საოჯახო პროგრამები“ ორგანიზება კი იმდენად აუცილებელი და საშური საქმეა, ამზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ.

რამდენ დროს ვატარებთ ჩვენ შვილებთან? დილით სკოლაში მიმავალთ, ნახევრად მძინარენი ვსაუზებთ, საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებულნი, ვეაჯამებთ; შემდეგ — სამხარეულო, ქურქელო... უქმე დღეებშიც ათასი გადაუღებელი საოჯახო საქმე გამოგვიჩინება ხოლმე. აი, ასე, თვალსა და ხელს შუა მიფრინავს დრო.

კულტურის რომელი კერა ან სპორტის რომელი ობიექტი ითავებს ჩვენს მასპინძლობას ოჯახთან ერთად? ამ კითხვაზე პასუხს დიდი ხანია ველოთ. საქრია ამ პრობლემის სწრაფად გადაწყვეტა. მანამდე კი...

„დედა, დღეს რას ვაკეთებთ?“ — მეკითხება სერიოზო. რა უნდა ვუპასუხო? „როგორც ყოველთვის, წავალთ სტადიონზე. შენ ირბენ, მე დაველოდებო...“

**5. ვოლკოვა.**

## რეკლამა ეს არ არის მეორეხარისხიანი საქმე!

**საფეხბურთო მატჩების პროგრამები, ფეხბურთის მოყვარულთა განუყოფელი თანამგზავია. აქ პოულობენ ისინი პასუხებს მათთვის საინტერესო საკითხებზე.**

ბათუმის „დინამოს“ სტადიონის ღირებულება ცდილობს ყველა საფეხბურთო მატჩისთვის მოამზადოს პროგრამა, რომელიც ბათუმში, ადგილობრივ პოლიგრაფიულ საწარმო გაერთიანების კომბინატში იბეჭდება (დირექტორი თ. თურმანიძე, მთავარი ინჟინერი დ. თავლუმაძე). სამუხარულო, პროგრამის დასტამბვა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. სტამბის ხელმძღვანელობა უპასუხისმგებლოდ ექცევა ამ საქმეს. ისინი რატომღაც მეორეხარისხიანად თვლიან მას.

სტამბაში რამდენჯერმე გვიხდება დარეკვა და თხოვნა, მაგრამ უშედეგოდ. სტამბის თანამშრომლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ სტადიონის დირექციის დაკვეთა, მაშინ, როცა პროგრამების გამოშვება-გავრცელება საგალებულია და მასზე ფე-

ხბურთის გულშემატყეართა მოთხოვნა მუდამ დილია.

მიმდინარე სეზონში ბათუმში საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების 10-11 მატჩი ჩატარდა. აქედან სამი მატჩის პროგრამა სტამბის უპასუხისმგებლობის მიზეზით არ დაბეჭდილა: 14 ივნისს საკავშირო თასის 1/16 ფინალში ბათუმის „დინამო“ მასპინძლობდა უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ ხარკოვის „მეტალისტს“. ამ შეხვედრამდე 3-4 დღით ადრე შეკვეთილი პროგრამა სტამბაში არ დაბეჭდეს, ასევე მოიქცნენ 12 ივლისს, როცა საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს ხვდებოდნენ ბათუმის „დინამო“ და ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

პატივცემულო რედაქცია! თქვენს შეწყუბებას არ ვაპირებდი, მაგრამ სხვა გზას ვეღარ ვხედავ. იქნებ დაგვეხმაროთ?

**ოთარ მურვანიძე,**  
ბათუმის „დინამოს“ სტადიონის დირექტორი, რესპუბლიკური კატეგორიის მსახი.

## მამონტაჟი ვარიანტი: „შეხვედრის დასაბამი არამის ეპატიება“

## ქპირფასო რედაქცია!

მე 79 წლის კაცი ვარ, მაგრამ კარგა ხანია თბილისის „დინამოს“ არც ერთი მატჩი არ გამოცდენია ჩვენს ქალაქში. 1964 წელს ტაშკენტშიც კი ვიყავი, სადაც ჩვენმა გუნდმა ოქროს მედლები დაისაკუთრა. მოწმე ვარ თბილისში მოსკოველი ფეხბურთელების პირველი ჩამოსვლისაც. მათ შეხვედა ფოთის გუნდი, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ მეკარე პოპკოვი, თავდამსხმელები ფაჩულია, ყორღანია და სხვანი. მატჩი ჩატარდა ლენინის სახელობის სტადიონზე და მას სულ 60-80 ახალგაზრდა ესწრებოდა. შეხვედრა ფოთელებმა მოიგეს. ამ შეხვედრაზე იმითმ მოგახსენებთ, რომ ფეხბურთი ახალგა-

ზრდობიდან მიტაცებს, იგი დღესაც ჩემი დიდი სიყვარულია, და არა მარტო ჩემი...

მაგრამ, სამუხაროდ, ზოგჯერ ჩვენი ფეხბურთელები გულშემატყეართა სიყვარულს არ უფრთხილებიან, არაფრად ავადებენ მაყურებელთა განცდას, ნერვებს.

მერწმუნეთ, კალამი ხელში მხოლოდ „დინამოს“ სიყვარულმა ამაღლებინა.

**მ. მერაბიშვილი,**  
რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, პარტიისა და შრომის ვეტერანი; რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, სამამულო ომის ვეტერანი.

**ნორკ დინამოელებს ბაღალი არ ჰყავდათ**

**ლენინბაღში** ორ კვირას მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაწილ მოჭარბაყეთა გუნდური ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რსდსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთის, მოლდავეთის, ლატვიის, ლიტვის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები. თითოეული გუნდის ღირსებას სამი ჰაბუჯი და ერთი გოგონა იცავდა.

წარმატებას მიაღწიეს საქართველოსა და უკრაინის ნორჩმა მოჭარბაყეებმა, რომლებმაც 12,5-12,5 ქულით (20-დან) I-II ადგილები გაიყვეს. ჩემპიონის სახელი მიენიჭა საქართველოს ნაკრებს, რომელმაც ყველაზე მეტი მატჩი მოიგო, მათ შორის უკრაინის გუნდთანაც 2,5:1,5. III ადგილი დაიკავა მოსკოვის ნაკრებმა — 11,5.

ჩვენს გუნდში იყვნენ (დაფების მიხედვით) — ოსტატობის კანდიდატები გიზო ქურდიულია, ალექსანდრე დგებუაძე (ორივე — ზუგდიდი), იანის პოპოვი და იამზე თვაური (ორივე — თბილისი). დგებუაძემ ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა — 7,5 ქულა 8-დან.

**გიორგი ფაშლიანი,**  
შეჯიბრების მთავარი მსახი, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მთავარი მწვრთნელი ქალაქში.

# საჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## 49

### უმაღლესი ლიგა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამო“ სტადიონი. 24 ივლისი.  
**დინამო (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 0:1 (0:1).**  
 „დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭელიძე, გურული, კაკილაშვილი, ხვანაძე (ბეზინაშვილი, 72), სულაქველიძე, უგრაძე (ცაავა, 63), ჯაბერაძე, მეხსი.  
 „ზენიტი“: პრიხოდკო, დავილოვი, კუზნეცოვი, ტიმოფევი, ბარანიკი, მინინი, 50), ლარიონოვი, აფანასიევი, შელუდკოვი, ჩუხლოვი, კაპოშინი, კლემენტიევი (სალენკო, 74).  
 მსაჯი ვ. აბგოლოცი (ალმა-ათა).  
 გოლი: შელუდკოვი (81).  
 გაფრთხილება ჩუხლოვი.  
 დუბლიორები — 2:2.

უშინწინდელ მეტოქეთა პირველი წრის შეხვედრა, რომელიც ამ საბრძოლველ თვის წინათ ლენინგრადში გაიმართა, მასპინძლების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა — 3:0. სხვათა შორის, „ზენიტმა“ მთავრად ამავე ანგარიშით მოუგო თბილისის „დინამოს“, მაგრამ მათი დინამოელებმა ამ მარცხისთვის რეაგირება აიღეს, წლებულს კი...  
 „ზენიტი“ ზუსტად იმავე შემთხვევაში გამოვიდა „დინამოს“ სტადიონის მიმართ, რომელიც საბრძოლველად არც ქუთაისის „ტორპედო“ დაამარცხა, თბილისელებმა კი „კალკონისთან“ ჩატარებულ წინამორბედ შედეგებით თავიანთი წინააღმდეგობის მიხედვით კორექტივები შეიტანეს: ჩელუბაძისა და ცაავას ნაცვალად სასტარტო შემადგენლობაში ვიხილეთ უგრელოვი და ჯაბერაძე (მოგონებს წინ გავუწყებთ და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ცაავა მეორე ტაიმში ვინაც გაიშვილა მინდორზე, მაგრამ დინამოელებმა ქულა ვერაღკა მისი მოლოდინებით გადაარჩინეს).  
 პირველ 15 წუთში (მე-2, მე-10 და მე-14 წუთებზე) სტუმრებმა სა-

მი სახიფათო იერიში განახორციელეს, მაგრამ თბილისელებმა საბოლოო მათგანს არანაყოფიერად შეტევებით უპასუხეს. მასპინძლები მიზანთან განსაკუთრებით ახლოს იყვნენ მე-11 წუთზე, როცა მესხის ძლიერი საჭარბო დარტყმა კუთხურზე ძლივს მოიგვრია პრიხოდკომ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ მატჩში მეკარეებს მაინც დამინც ბევრი სამუშაო არ ჰქონიათ, რაც თავდაპირველად უფრო უფრო თამაშის ბრალი უფროა, ვიდრე მცველების მაღალი ოსტატობისა. ამის მტკიცების უფლებას გვაძლევს ის მომენტები, როცა მცველების შეცდომების შედეგად მოიერიშები ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე და ამ შესაძლებლობას ვერ იყენებდნენ. იშვიათი იყო შორეული დარტყმები და მეტოქეთაგან თუ ვინმე მაინც გაბედავდა შორი მანძილიდან დარტყმას, ბურთი როგორც წესი კარს სცდებოდა.  
 გამოხატვის ვახლად უკლებლივ მთელი 31-ე წუთზე შესრულებული საჭარბო. დაახლოებით 24-25 მეტრიდან დარტყმულმა ბუ-

რთმა თავს ზემოთ გადაუფრინა თბილისელ მცველებს და მარჯვენა „ცხრიანში“ გაეხვია. დარტყმა იმდენად უნაკლო იყო, ძნელად თუ მოუტრიალდება ვინმეს ენა, გაბელია და დანაშაულოს. სწორედ ამ გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. შესვენების შემდეგ დინამოელები, რაც მართალია, მართალია, ძალზე ბევრს ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ „ზენიტის“ კარი თამაშის ბოლომდე ხელუხლებელი დარჩა. მასპინძლებს რამდენიმეჯერ მაინც მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან მეორე ტაიმში ლენინგრადელებმა მეტოქეს მთლიანად დაუთმეს მინდორის შუაგულს და მას საკუთარ საჭარბოსთან მოახლოების საშუალებას აძლევდნენ. ასეთ ვითარებაში კი თითქმის გარდაუვალია სავალე მომენტები. სხვა საქმეა, რომ ამ მომენტებს გამოყენება უნდა. მათგან ყველაზე რეალური იყო სიტუაცია, რომელიც 62-ე წუთზე შეიქმნა სტუმრთა კართან: ჭელიძის პრიხოდკოსთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ამ „დუელი“ ლენინგრადელმა მეკარემ იმარჯვა. სახიფათო იყო მესხის ძლიერი დარტყმა, რომელიც პრიხოდკომ კუთხურზე მოიგვრია (მე-80 წუთზე).  
 თბილისელთა შეტევები განსაკუთრებით გახშირდა თამაშის ბოლო 20 წუთში. მათ მარცხის მოახლოებული საფრთხე იგრძნეს და თითქმის მთელი გუნდით გადავიდნენ იერიშზე. სამწუხაროდ, ამ იერიშებს აკლდა სიზუსტე, ფანტაზია, სისწრაფე...  
**დავით პაპაბაძე.**

**მოსკოვის** ოლქის ქალაქ ეგორიევსკში ამ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საკავშირო პირველობა ფეხბურთში. ამ მეტად საინტერესო ასპარეზობაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, მოსკოვის, უკრაინის (2), აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ქ. ორჯონიკიძისა და თბილისის კოლექტივები. საქართველოს „სპარტაკი“ (თავმჯდომარე ა. მეგრელიძე) შეფთვას უწყევს თბილისის ახალგაზრდალ საფეხბურთო გუნდს და სწორედ ამ სკოლის წარმომადგენლები გამოდიოდნენ „სპარტაკის“ ფეხბურთელთა საკავშირო ასპარეზობაზე.  
 შეჯიბრებაში მონაწილე 10 გუნდი ორ გვერდულ იყო დაყოფილი. თბილისელებთან ერთად ერთ გვერდში გამოდიოდნენ უკრაინის, უზბეკეთის, სომხეთისა და ორჯონიკიძის კოლექტივები.

თბილისელებმა ქვეჯგუფში დამარცხეს სომხეთისა (2:1) და ორჯონიკიძის (2:0) ფეხბურთელები, ერთიანი ანგარიშით — 1:1 ფრედ თამაშეს უზბეკეთისა და უკრაინის გუნდებთან და გადაწყვეტ, ფინალურ მატჩში შეხვედნენ რსფსრ-ს ნაკრებს.  
 ეს დაძაბული თამაში თბილისელმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0 და სპორტსაზოგადოების ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. ჩვენი გუნდიდან საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი მიიღო მამუკა მაჩაიძე, სპორტსაზოგადოების საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს ზურაბ ბერიაშვილი, მამუკა მაჩაიძე და მორის ჯაშიაშვილი.  
 გამარჯვებულ გუნდს ამზადებდნენ ჯ. თანანაშვილი, გ. ჩარკვიანი და ზ. ზაქაიძე (სკოლის დირექტორი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი).



სურათზე: სპარტაკელთა შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის ახალგაზრდალ საფეხბურთო სკოლის გუნდი.

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 24 ივლისი.  
**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „პალმირისი“ (ვილნიუსი) 1:0.**  
 „ტორპედო“: შიპაძე, შენგელია, ჭელიძე, მალანია, ვასაძე, ბარათაშვილი, კორკალიძე, ტყავაძე (ივანეიშვილი, 73), შვერდლაძე, ზაგა (ხუნდაძე, 80), მანაგაძე.  
 „პალმირისი“: იურკოვი, ტაშულიავიჩუსი, სკრიბოვი, მუჟეიკისი, იანონისი, ტაუტკუსი, ბარანაუკასი, შაცკიავიჩუსი, იაკუბაუსკასი (ანკრატევი, 63), რასიუკასი, ბუზაკოვი (ნარბეკოვასი, 31).  
 მსაჯი ა. ტემეტევი (უჟგოროდი).  
 გოლი: ჭელიძე, 27-ე წუთში.  
 გაფრთხილებული არიან: მალანია და რასიუკასი.  
 დუბლიორები — 2:1.

ვილნიუსელებს არც ამ მატჩში ვილოცობთ თავიანთი „ხელწერილისთვის“. შეხვედრის დასაწყისში მათი საკულდაგულოდ შეეცადნენ ზრუნველყოთ საკუთარი კარის უსაფრთხოება, ეთამაშათ დაბალ ტემპში, აუჩქარებლად და მეტოქისთვის სწრაფად, მწვავე შეტევების განხორციელების საშუალება არ მიეცათ, ამიტომ ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და ფეხბურთელებმა პირველ მსუბუქე წუთის განმავლობაში მხოლოდ თითოჯერ შეძლეს მეტოქის საჭარბო მოედანზე შესვლა. მეტოქე მატჩში მოიგვრია ბარანაუკასის მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი, შემდეგ მანაგაძემ ბურთი მიზანს ააცილა.  
 ცხადია, ასეთი თამაში მასპინძლებს ხელს არ აძლევდათ. მათ მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ეფიქრათ, რომ წინა ტურში დიდი ანგარიშით წაიგებინ შემდეგ თავიანთი გულშემატკივრების გული მოგოვთ, და აი, ტორპედოელებმა გადაწყვიტეს გარდატეხა შეეტანათ თამაშში. სანაპრისი აღმოჩნდა სისწრაფის დანებ მომარტება, რომ იურკუსის რადიკალურ მოუხდა თამაშში ჩაბმა. მან ზედმედ ორჯერ ნახტომში მო-

იგვრია კორკალიძისა და მეგრელის დარტყმული ბურთები და ანგარიშიც სწორედ ასეთ მომენტში, მასპინძელთა ერთ-ერთი სწრაფი იერიშის დროს გაიხსნა. 27-ე წუთზე ქუთაისელთა ცენტრალური მცველი ქელიძე დროულად ჩაება შეტევაში. ვილნიუსელთა მცველებმა მას წამით მოაშორეს თვალი და მეგრელმა ზუსტად შეაფარა ბურთი — ბურთი დროულად გადააწვინა მცველს. ქელიძე მეკარის პირისპირ აღმოჩნდა და ზუსტად დარტყა — 1:0. ასე გავიდა ამ მატჩში ის ერთადერთი ბურთი, რომელმაც გამარჯვება და ორი ქულა მოუტანა ტორპედოელებს.  
 სტუმრები მხოლოდ ტაიმის მიწურულს გააქტიურდნენ. 42-ე წუთზე ნარბეკოვასი მეკარის პირისპირ გავიდა, მაგრამ ქუთაისელთა ახალბედა მეკარემ კარგად ითამაშა: იგი თავგანწირული ნახტომით ფეხებში ჩაუვარდა მეტოქეს და ბურთი კუთხურზე მოიგვრია.  
 მეორე ტაიმის დასაწყისში ტემპმა საგრძნობლად იმატა და ბრძოლა დაიძაბა. 49-ე წუთზე ტორპედოელებს ანგარიშის ვახლად შეეძლოთ. მეგრელმა სწრაფი დარტყმა განახორციელა, მაგრამ მა-

ხვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი იურკუსმა მოიგვრია. დარჩენილ დროში ორივე გუნდს ფეხბურთელები ხშირად ურტყამდნენ კარში და ანგარიში რომ არ შეიცვალა, ეს მეკარეების დამსახურებაა. ამიტომაც მეტრის საუკეთესო მოთამაშეების პრიზები მათ გადაეცათ. იურკუსი გამოცდილი გოლიკებიერი, ქუთაისელთა ახალგაზრდა მეკარე კი პირველად იცავდა თავისი გუნდის კარს და პირველივე ცდა იღბიანი გამოდგა. მიუხედავად გარკვეული მღვდარებისა, იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე და ავი პრიზიც დაიმსახურა. აქვე აღვნიშნავთ: ამ დღეს მიქაძესთან ერთად ტორპედოელთა რიგებში კიდევ რამდენიმე დებიუტანტი ვიხილეთ, რომელთა თამაშმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.  
**თამაზ ხარაბაძე.**

**სსპ მატჩები:**  
**ბიშნაბრთა სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XIX ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.**  
**24 ივლისი**  
 „დინამო“ ა. — „ზენიტი“ 2:1  
 „ნეფთი“ — „მეხტისნი“ 0:0  
 „პარაბანი“ — „შახტიორი“ 2:1  
 „დინამო“ მ. — „ჩარნომორცი“ 0:0  
**25 ივლისი**  
 „დინამო“ მ. — „ტორპედო“ მ. 1:1  
 „პირატი“ — „სპარტაკი“ 1:0

**ბსსუ შახთ-კვირის გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIX ტურის შეხვედრები.**  
**I ლიგა**  
**ალმოსავლეთი ჯგუფი**  
 „სპარტაკი“ (ცხინვალის) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლი: ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“).  
 „არმაზი“ (მცხეთა) — ასკ (თბილისი) 3:0. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი). გოლები: ხუცუვალი-2, სოლოლაშვილი („არმაზი“).  
 ამ მატჩში უდიერად, თავხედუ-

ჯინჯარაძე (მხარაძე). გოლები: შავგულიძე, ვეფხია („იმერეთი“), ცნობილაძე-2, სვანაძე („მადრიგანი“).  
 „ამირანი“ (თბილისი) — „სულთა“ (განი) 1:2. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: კაკუბავა („ამირანი“), გ. ვერულაშვილი, ჯ. ვერულაშვილი („სულთა“).  
 „ეგრისი“ (ცხკაია) — „მერცხალი“ (მხარაძე) 4:3. მსაჯი ვ. შელია (გაგრა). გოლები: გერგელი, ბალანთურია-2, ჩიქობავა („ეგრისი“), ჩიგოგიძე, სალუქვაძე („მერცხალი“).

## საქართველოს პირველობა

რად იქცეოდნენ არმიელი ფეხბურთელები. სახტვენის შემდეგ ბურთის განზარადა გადაადგილების გააფრთხილეს დ. ბერიძე, ხოლო მსაჯთან კამათისთვის მ. ნადირაშვილი.  
**არმიელი თ. ნადირაშვილი**  
 ანგარიშისა და ნადირაშვილის სიტყვიერი შეურაცხველობა მიყენა მსაჯს, რისთვისაც იგი მინდორიდან გააძევეს. თბილისის არმიის სპორტდების ხელმძღვანელებისაგან ველით რეაგირებას ფეხბურთელთა ამ უხამსი საქციელის გამო.  
 „მადნეული“ (ბოლნისი) — „შეგარდენი“-სპი (თბილისი) 2:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი). გოლები: აილიანი, ჯაგოვი („მადნეული“), ბანცური („შეგარდენი“-სპი), ერთი ბურთი საკუთარ კარში გაიტანა ბოლნისელმა ყიფშიძემ. 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა ბოლნისელმა ქობულაძემ.  
 „ივრია“ (ხაშური) — „კახეთი“ (თელავი) 2:0. მსაჯი თ. სალილიანი (თბილისი). გოლები: ხარაზიშვილი, ოსაძე („ივრია“).  
**დასავლეთი ჯგუფი**  
 „ბანბარო“ (ხაზატური) — „სამეგრელო“ (ხობორწყუ) 0:1. მსაჯი ქ. დავითიანი (ბათუმი). გოლი: ახალია („სამეგრელო“).  
 „დინამო“ (გაგრა) — „საბოვნელო“ (თერჯოლა) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: სემიონოვი („დინამო“), ჩინჩალაძე („საბოვნელო“).  
 „დინამო“ (ზუგდიდი) — „ხალხი-ნო“ (გეგეკორი) 5:1. მსაჯი გ. ვახიანი (სოხუმი). გოლები: ხვიტია, სარანიანი-2, ვ. თუბერძე-2 („დინამო“), გოგოძე („ხალხი-ნო“).  
 მსაჯის სახტვენის შემდეგ ბურთის განზარადა გადაადგილებისთვის გაფრთხილეს „ხალხი-ნოს“ ფეხბურთელი დ. ქაჯია.  
 „იმერეთი“ (ქუთაისი) — „მადრიგანი“ (წყალტუბო) 2:3. მსაჯი ზ.

**II ლიგა**  
**ცენტრალური ჯგუფი**  
 „მადაროელი“ (ქიათურა) — „ხეაღი“ (ცაგერი) 9:2. „საირმა“ (მთაქოცხვი) — „რაჭა“ (ამბროლაური) 5:2. „იმერეთი“ (წყალტუბო) — „აბული“ (ახალქალაქი) 1:1. „ჩიხობა“ (სანხერე) — „დილა“ (წყალტუბო) 3:1. „შენებელი“ (ქიათურა) — „ივერია“ (ქარელის რ-ნი) 5:2. „ნარზმა“ (ადიგენი) — „კოლმეურნი“ (ტყუბული) 2:0. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „თორი“ (ბორჯომი) 2:4.  
**საქართველოს პირველობა**  
**ბათუბაშვილის ცხრილში**  
**I ლიგა**  
**ალმოსავლეთი ჯგუფი**

ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.	გ.	ბ.	ქ.			
„მეტალურ“	18	13	3	2	32-13	29
„შეგარ“ სპი	18	13	2	3	43-17	28
„მადნეული“	20	11	2	7	44-29	24
ფიზკ. ინსტ.	19	9	4	6	31-23	22
„დურუჯი“	19	8	4	7	15-26	20
„ქახეთი“	18	8	3	7	25-29	19
„ქართლი“	18	7	4	7	10-18	18
„არმაზი“	17	6	5	6	25-24	17
„ივერია“	18	6	3	9	17-22	15
„სპარტაკი“	17	6	2	9	15-24	14
„იმედ“	17	3	8	6	12-22	14
ასკ თბ.	17	3	2	12	10-32	8
<b>დასავლეთი ჯგუფი</b>						
„დინამო“ ზ.	18	11	1	6	45-23	23
„სამეგრელო“	18	10	3	5	25-14	23
„ეგრისი“	18	8	4	6	27-32	20
„დინამო“ გ.	17	8	3	6	28-24	19
„სალხინო“	18	8	3	7	27-25	19
„მადრიგ“	17	9	0	8	31-25	18
„საბოვნელო“	18	8	2	8	27-17	18
„სქურტი“	17	8	2	7	23-30	18
„მერცხალი“	17	8	1	8	25-17	17
„სამურატი“	17	7	3	7	24-20	17
„ამირანი“	18	7	2	9	20-31	16
„იმერეთი“	18	4	3	11	16-27	11
„ბანბარო“	17	4	1	12	11-34	9

## პირველი რუსთაველი

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ბირმის ახალგაზრდალ ნაკრებში. ბირმელმა ფეხბურთელებმა ახსანაგური მატჩი გამარჯვებით დაამთავრეს „მეტალურის“ რუსთაველს. მათი მეტოქე ადგილობრივი „მეტალურია“ იყო. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 6:0 (2:0). ანგარიში მე-13 წუთზე გახსნა ყვანაძე, რომელმაც ზუსტად დარტყა სტუმართა კარში. მანვე ტაიმის ბოლომდე კიდევ ერთხელ აიღო ბირმის კარების კარი — 2:0. მეორე ნახევარში სტუმრებმა თამაშის ტემპს შეცვალეს. ამით ისარგებლეს რუსთაველებმა და ახობაძემ, ავაქიანმა, ბოლქვაძემ და კილასნიამ კიდევ ოთხი ბურთი შეიკრეს ბირმელთა კარში.



რ. გაბრიძე.

